Food and Agriculture
Organization of the
United Nations

# პირუტყვის ვაქცინაციის კამპანიის სახელმძღვანელო პრინციპები

## შერჩევა/მიღებიდან ინექციამდე

FAO, ცხოველთა მოშენებისა და ჯანმრთელობის
სახელმძღვანელო პრინციპები / № 31



FAO, ცხოველთა მოშენებისა და ჯანმრთელობის
სახელმძღვანელო პრინციპები / № 31

# პირუტყვის ვაქცინაციის კამპანიის სახელმძღვანელო პრინციპები

## შერჩევა/მიღებიდან ინექციამდე

ავტორები

**ჯანკარლო ფერარი და ვალერია მარიანო**
*ლაციოსა და ტოსკანის რეგიონების ექსპერიმენტული ზოოპროფილაქტიკური ინსტიტუტი, იტალია*

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
რომი, 2024

**სავალდებულო ციტირება**

**Ferrari, G. და Mariano,** V. 2024. *პირუტყვის ვაქცინაციის კამპანიის სახელმძღვანელო პრინციპები – შეგროვებიდან ინექციამდე.* FAO, ცხოველთა მოშენებისა და ჯანმრთელობის სახელმძღვანელო პრინციპები No. 31. რომი, FAO.

The designations employed and the presentation of material in this information product do not imply the expression of any opinion whatsoever on the part of the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO) concerning the legal or development status of any country, territory, city or area or of its authorities, or concerning the delimitation of its frontiers or boundaries. The mention of specific companies or products of manufacturers, whether or not these have been patented, does not imply that these have been endorsed or recommended by FAO in preference to others of a similar nature that are not mentioned.

The views expressed in this information product are those of the author(s) and do not necessarily reflect the views or policies of FAO.

ISSN 1810-0708 [English]

ISBN 978-92-5-138895-2
© FAO, 2024

Some rights reserved. This work is made available under the Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 3.0 IGO licence (CC BY-NC-SA 3.0 IGO; https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/3.0/igo/legalcode).

Under the terms of this licence, this work may be copied, redistributed and adapted for non-commercial purposes, provided that the work is appropriately cited. In any use of this work, there should be no suggestion that FAO endorses any specific organization, products or services. The use of the FAO logo is not permitted. If the work is adapted, then it must be licensed under the same or equivalent Creative Commons licence. If a translation of this work is created, it must include the following disclaimer along with the required citation: “This translation was not created by the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). FAO is not responsible for the content or accuracy of this translation. The original [Language] edition shall be the authoritative edition.”

Disputes arising under the licence that cannot be settled amicably will be resolved by mediation and arbitration as described in Article 8 of the licence except as otherwise provided herein. The applicable mediation rules will be the mediation rules of the World Intellectual Property Organization http://www.wipo.int/amc/en/mediation/rules and any arbitration will be conducted in accordance with the Arbitration Rules of the United Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL).

**Third-party materials.** Users wishing to reuse material from this work that is attributed to a third party, such as tables, figures or images, are responsible for determining whether permission is needed for that reuse and for obtaining permission from the copyright holder. The risk of claims resulting from infringement of any third-party-owned component in the work rests solely with the user.

**Sales, rights and licensing.** FAO information products are available on the FAO website (www.fao.org/publications) and can be purchased through publications-sales@fao.org. Requests for commercial use should be submitted via: www.fao.org/contact-us/licence-request. Queries regarding rights and licensing should be submitted to: copyright@fao.org.

**ყდაზე განთავსებული ფოტო:** ©FAO/ლუის ტატო, საავტორო უფლებები დაცულია

# სარჩევი


მადლიერების გამოხატვა v

შესავალი 1

1. ვაქცინის მართვის პროტოკოლები 5

2. ვაქცინების მოთხოვნა და მათზე პასუხისმგებლობა მეორად და მესამეულ ჯაჭვებში 7

2.1 ვაქცინების შენახვა 7

3. მეორადი და მესამეული ჯაჭვებიდან გასავალი ვაქცინის მართვა 9

4. ვაქცინების ტრანსპორტირება 11

5. ვაქცინის მიწოდება ვაქცინაციის ჩატარების ადგილზე 13

ინფორმაცია ფერმერებისთვის ვაქცინაციის შესახებ 15

5.1 ვაქცინაციის პროცედურები მეცხოველეობის ობიექტებზე 15

5.2 ჰიგიენის წესების დაცვა და პირადი დაცვის საშუალებების გამოყენება 15

5.3 ვაქცინაციისთვის საჭირო აღჭურვილობა 15

5.4 ვაქცინის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკა 17

5.5 ვაქცინის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკა 20

5.6 სამუშაო გარემოს რეგულარული დასუფთავება 20

5.7 მასალების სათანადო განადგურება 20

5.8 გამოყენებული ვაქცინების აღრიცხვა 21

5.9 გვერდითი რეაქციების მონიტორინგი და მართვა 21

5.10 გამკლავება შოკის სიმპტომებთან 21

6. ვაქცინის მიწოდების მონიტორინგი 25

7. ვაქცინაციის კონკრეტული რეკომენდაციების ბმულები ვაქცინაციის |ყველაზე გავრცელებული კამპანიებისთვის 27

8. წყაროები 29

დანართები

I. სარეგისტრაციო წიგნი 33

II. რჩევები ვაქცინების ოპტიმალური შენახვისთვის დროებით მაცივრებში 35

III. ქაღალდის ფორმები ვაქცინატორის მიერ მიღებული და დაბრუნებული ვაქცინის ცარიელი, არასრულად გამოყენებული და გამოყენებული ფლაკონების/ამპულების გამოყენების შესახებ ინფორმაციის სამართავად 39

IV. ინსტრუქციები და საკონტროლო სია თერმოკონტეინერში ვაქცინების სწორად მოთავსებისთვის 41

V. თერმულ კონტეინერში მოთავსებული ვაქცინების „ცივი ჯაჭვით“ ტრანსპორტირების მონიტორინგის ფორმა 43

VI. ვაქცინატორების მიერ მიღებული აღჭურვილობა საველე ვაქცინაციის ჩასატარებლად 45

VII. ვაქცინაციის ბარათი 47

VIII. კანქვეშა ინექციის რეკომენდებული ადგილები ცხოველთა სხვადასხვა სახეობებში 49

IX. შეტყობინება ვაქცინის გვერდითი რეაქციების შესახებ 51

## ნახატების ჩამონათვალი


| | | |
|---|---|---|
| 1. | ვაქცინის განაწილების ჯაჭვი და პასუხისმგებლობები | 3 |
| 2. | მსხვილფეხა საქონლის უსაფრთხოების ზონა და სხეულის გამართხილებელი ნიშნები | 18 |
| 3. | კანქვეშა ვაქცინების შეყვანის ტექნიკის ინფოგრაფიკა | 19 |
| A2.1 | მაცივრის მიმოხილვა | 35 |
| A2.2 | სხვადასხვა ტიპის მაცივრები | 36 |
| A2.3 | მაცივრის შევსების ზოგადი ინსტრუქცია | 37 |
| A2.4 | გამაფრთხილებელი შეტყობინებები | 38 |
| A7.1 | ვაქცინაციის ბარათის ნიმუში | 47 |
| A8.1 | ინექციების ყველაზე გავრცელებული ადგილები ცხოველთა სხვადასხვა სახეობებში | 49 |


## ცხრილების ჩამონათვალი


| | | |
|---|---|---|
| 1. | კანქვეშა ინექციები: ინექციის ყველაზე გავრცელებული ადგილები და ნემსის ზომა პირუტყვის ძირითადი სახეობისთვის | 16 |
| 2. | ცხოველთა ქცევის ძირითადი გასათვალისწინებელი ფაქტები | 17 |
| A1.1 | შემომავალი ვაქცინის პარტიებისა და დოზების სარეგისტრაციო წიგნი | 33 |
| A1.2 | გამავალი ვაქცინის პარტიებისა და დოზების სარეგისტრაციო წიგნი | 33 |
| A3.1 | ვაქცინატორის მიერ ვაქცინის მიღების დამადასტურებელი საბუთი (ექვივალენტურია სარეგისტრაციო წიგნის გასავლის ნაწილის 2.ა) | 39 |
| A3.2 | სავსე, ცარიელი, ნაწილობრივ გამოყენებული ფლაკონების/ამპულების ადგილობრივ სადისტრიბუციო ცენტრში დაბრუნების დამადასტურებელი საბუთი (შეესაბამება სარეგისტრაციო ჟურნალის 2.ბ პუნქტს გაცემული ვაქცინები) | 39 |
| A3.3 | მაცივარში დაბრუნებული ვაქცინების მართვის საკონტროლო სია | 40 |
| A4.1 | თერმო კონტეინერებში ვაქცინების შენახვის საკონტროლო სია | 41 |
| A5.1 | ვაქცინების ცივი ჯაჭვით ტრანსპორტირების მონიტორინგის ფორმა | 43 |
| A6.1 | მიღებული აღჭურვილობის ჩამონათვალი | 45 |

# მადლიერების გამოხატვა

FAO-ს[1] სურს მადლობა გადაუხადოს მუჰამად არშედს (Muhammad Arshed) და გიის ვან'ტ კლოსტერს (Gijs van't Klooster) ამ პუბლიკაციის კრიტიკული მიმოხილვისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ასევე დოქტორ მიშელ ლევაის (Michel Levi) კალგარის უნივერსიტეტიდან სექციის „გვერდითი რეაქციების მონიტორინგი და მკურნალობა" განხილვისთვის.

გულწრფელი მადლიერება ენრიკო მაშის (Enrico Masci) სამაგიდო საგამომცემლო სამუშაოსთვის და კლაუდია ჩარლანტინისა (Claudia Ciarlantini) და ჩეჩილია მურგუიას (Cecilia Murguia) თავდადებული დახმარებისთვის.

[1] FAO - სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია.

# შესავალი

ვაქცინების სწორი შენახვა, ტრანსპორტირება, სათანადო მოპყრობა და მიწოდება არის ვაქცინაციის ნებისმიერი პროგრამის ეფექტურობის გარანტია. ვაქცინის არასათანადო შენახვამ, ტრანსპორტირებამ, მოპყრობამ და მიწოდებამ შეიძლება შეამციროს მისი ეფექტურობა, რაც გამოიწვევს არაადეკვატურ იმუნურ პასუხსა და ვაქცინაციის ზოგადი კამპანიის წარუმატებლობას. გარდა ამისა, წარუმატებლობამ ნებისმიერ საფეხურზე შეიძლება გამოიწვიოს ვაქცინის არაეფექტური გამოყენება ან დაავადებისგან არასათანადო დაცვა და მეცხოველეობის მწარმოებლების მხრიდან ნდობის დაქვეითება.

ვაქცინები, რომლებიც წარმოადგენენ ფაქიზ ბიოლოგიურ ნივთიერებებს, შეიძლება გახდნენ ნაკლებად ეფექტური ან არაეფექტური, როდესაც:

- ირღვევა მათი შენახვის ტემპერატურული რეჟიმი (ჩვეულებრივ + 2 °C-დან + 8 ° C-მდე); ან
- ექცევიან მზის ან ულტრაიისფერი სხივების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ.

**ეს სახელმძღვანელო პრინციპები ასახავს მოწინავე გამოცდილებას ვაქცინის ეფექტური ადმინისტრირებისა და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ვაქცინაციის პროგრამებში გვერდითი რეაქციების თავიდან ასაცილებლად.**



©FAO/LUIS TATO

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროცედურებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს ვაქცინაციის ჩამტარებლებისთვის ვაქცინის მიწოდების შემდეგ.

საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ვაქცინაციის პროგრამები შეიძლება განხორციელდეს, როგორც სისტემატური ვაქცინაციის პროგრამა, ან რისკის ანალიზზე დაფუძნებული პროგრამა, პრევენციის, კონტროლის ან აღმოფხვრის მიზნით, რათა შემცირდეს დაავადების სიხშირე, გავრცელება ან გავლენა. ცალკეულ შემთხვევებში გარკვეული დაავადებების გავრცელებისას, კონტროლის ღონისძიებების მხარდასაჭერად შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი პროგრამები (გადაუდებელი ვაქცინაცია).

ეს რეკომენდაციები სასარგებლო იქნება ნებისმიერი ვაქცინაციის პროგრამის, სტრატეგიისა თუ მიზნის შემთხვევაში, მაშინ როდესაც ზოგადი მართვა მოექცევა საჯარო სექტორის პასუხისმგებლობის სფეროში, მაშინაც კი, თუ ვაქცინაციის საველე სამუშაოს განხორციელება დაევალება კერძო სექტორს შესაბამისი საჯარო-კერძო მექანიზმების ფარგლებში.

ასეთ შემთხვევაში ვაქცინის შესყიდვის პროცედურები, ეროვნულ დონეზე, ჩვეულებრივ იმართება აღიარებული მწარმოებლის დახმარებით, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს წარმოების პროცესების, პროდუქტებისა და მიწოდების სისტემების სისუფთავე, უსაფრთხოება, ეფექტურობა და ხარისხი.

ეს რეკომენდაციები არ ეხება კერძო დისტრიბუტორების მიერ ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო ისეთი იმპორტირებული ვაქცინების მართვას, რომლებიც არაა ჩართული ეროვნულ ან საჯარო პროგრამებში. ასეთ პირობებში საჯარო სექტორი კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან იმპორტირებული ვაქცინის რეგისტრაცია რჩება მათ უპირველეს პასუხისმგებლობად. უფრო მეტიც, საჯარო სექტორმა შეიძლება კვლავ შეასრულოს აუდიტის როლი იმის უზრუნველსაყოფად, რომ კერძო დისტრიბუტორებს შეუძლიათ ვაქცინების სათანადო შენახვა და მიწოდება. ამასთან დაკავშირებით, კერძო დისტრიბუტორი შეიძლება ჩართული იყოს ქვემოთ აღწერილ მეორად ან მესამეულ ჯაჭვში.

ამ სახელმძღვანელო პრინციპებში აღწერილი განაწილების სისტემა გულისხმობს, (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება), ერთი ან მეტი ძირითადი ცენტრის (პირველადი ჯაჭვი) არსებობას, სადაც თავდაპირველად შეინახება შეძენილი ვაქცინების ძირითადი ნაწილი.

მეორადი და მესამეული ჯაჭვები განსაზღვრულია ვაქცინების შენახვის პერიფერიულ ცენტრებად.

ამ სახელმძღვანელო პრინციპების მიზნებისთვის, მეორადი ჯაჭვი არის ვაქცინის შენახვის უფრო პერიფერიული ობიექტი, რომელიც ამარაგებს მესამეულ ჯაჭვს, საიდანაც ვაქცინა საბოლოოდ გადაეცემა ვაქცინატორებს ინექციის განსახორციელებლად (თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მეორადი ჯაჭვი ასევე შეიძლება მოქმედებდეს, როგორც მიმწოდებელი ვაქცინატორებისთვის). განაწილებისა და მიწოდების ჯაჭვის ბოლო სეგმენტი იწყება იმით, რომ ვაქცინატორი იღებს პასუხისმგებლობას ვაქცინის ფლაკონებზე ან ამპულებზე, რომლებსაც გამოიყენებს ცხოველების ვაქცინაციისთვის (სურათი 1). ვაქცინატორებს შეიძლება ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ საკუთარი მაცივრები (მითითებული სურათ 1-ში, როგორც "ადგილობრივი ობიექტები").

სურათი 1
**ვაქცინის განაწილების ჯაჭვი და პასუხისმგებლობები**




*წყარო:* შემუშავებულია ავტორების მიერ.

# 1. ვაქცინის მართვის პროტოკოლები

ვეტერინარულ სამსახურებს (VS) ეკისრებათ უპირველესი პასუხისმგებლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ავტორიზებული ვაქცინები აკმაყოფილებდნენ ხარისხის სპეციფიკურ კრიტერიუმებს, რათა ცხოველების ასაცრელად გამოყენებულ იქნას ეფექტური ვაქცინები. ამ მიზეზით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართვის პროტოკოლებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას გამოყენებული ვაქცინების ეფექტურობა განაწილებისა და მიწოდების სრულ ჯაჭვში. მართვის პროტოკოლებმა უნდა უზრუნველყონ:

- ვაქცინების შენახვის ძირითადი ცენტრი (პირველადი ჯაჭვები მოიცავს ერთ ან მეტ ცენტრს) და ვაქცინის შენახვისა და განაწილების პერიფერიული ცენტრები (ანუ მეორადი და მესამეული ჯაჭვები) კარგად არის შერჩეული და ცივი ჯაჭვის ყველა რგოლი ეფექტურად მოქმედებს;
- ყოველ ობიექტისთვის შექმნილია პასუხისმგებელ და სარეზერვო თანამშრომელთა ჯაჭვი;
- ხელმისაწვდომია ჯაჭვის ძირითადი რგოლების ყველა პასუხისმგებელი თანამშრომლის საკონტაქტო ინფორმაცია;
- დაგეგმილია ვაქცინაზე პასუხისმგებელი ყველა ადამიანის ტრენინგი;
- ინსტრუქციები შეიცავს დეტალურ ინფორმაციას ვაქცინების შეკვეთის, ვაქცინების პარტიების რეგისტრაციის, ვაქცინების დამუშავების, აღქურვილობის მომსახურეობის, ტემპერატურის მონიტორინგისა და აღრიცხვის შესახებ;



© DANIEL BELTRAN ALCRUDO

- შემუშავებულია საგანგებო გეგმა ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში; და
- რეგულარულად (მინიმუმ წელიწადში ორჯერ) იგეგმება ვაქცინის მართვის სისტემატური აუდიტი შესყიდვიდან ინექციამდე.

დოკუმენტაცია, მათ შორის წერილობითი პროცედურები, კონტაქტები, გადაუდებელი დახმარების ინსტრუქციები და სარეგისტრაციო ჟურნალები, ცნობილი და გასაგები უნდა იყოს ვაქცინასთან მომუშავე პერსონალისთვის და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს კონსულტაციისთვის.

# 2. ვაქცინების მოთხოვნა და მათზე პასუხისმგებლობა მეორად და მესამეულ ჯაჭვებში

პერიფერიული საცავების მიერ (მეორადი და მესამეული ჯაჭვები) ვაქცინების შეკვეთა ჩვეულებრივ ხორციელდება პირველადი რგოლებისთვის მოთხოვნების გაგზავნით. მოთხოვნები უნდა გაიგზავნოს შესაბამისი დროის ინტერვალებით, პერიფერიული ერთეულების შესანახი სიმძლავრის გათვალისწინებით.

პირველადი რგოლიდან პერიფერიული რგოლისთვის გადაცემის შემდეგ, ვაქცინის სარეგისტრაციო წიგნში უნდა ჩაიწეროს მინიმალური ინფორმაცია ვაქცინის შესახებ. სარეგისტრაციო წიგნის მაგალითი მოცემულია დანართ 1-ში, ცხრილი A1.1.

სარეგისტრაციო წიგნი შედგება ორი განყოფილებისგან - შემომავალი და გასავალი ვაქცინების რეგისტრირებისთვის. განყოფილება "შემომავალი" უნდა შეივსოს ვაქცინის მიღებისას და შეიცავდეს, სულ ცოტა, შემდეგ მონაცემებს:

(i) ჩატვირთვის თარიღი (ანუ მიღების თარიღი);
(ii) სერიის ნომერი (ან კოდი);
(iii) ფლაკონების ან ამპულების რაოდენობა;
(iv) დოზების რაოდენობა ფლაკონში ან ამპულაში;
(v) დოზების საერთო რაოდენობა;
(vi) ვარგისიანობის ვადა;
(vii) პერიფერიულ განყოფილებაში ვაქცინის მიმღები თანამშრომლის სრული სახელი.

თუ მიღებული პარტია შეიცავს ვაქცინის ორ ან მეტ სერიას, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ისინი ჩაიწეროს შემომავალი განყოფილების ცალკეულ გრაფებში.

## 2.1 ვაქცინების შენახვა

ადგილობრივ სადისტრიბუციო ცენტრებში მიღებული ვაქცინის ფლაკონები ან ამპულები სასწრაფოდ უნდა მოთავსდეს შესაბამის მაცივრებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ წინა რიგებში განთავსდეს ვაქცინები ვარგისიანობის მოახლოებული ვადით. როგორც აღინიშნა, ეს სახელმძღვანელო პრინციპები არ ეხება ცენტრალური და პერიფერიული საწყობების ცივი ჯაჭვის მართვას, თუმცა გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ვაქცინატორებს აქვთ საკუთარი საწყობები. ამიტომ, მაცივრის შევსების ზოგადი ინსტრუქციები მოცემულია II დანართში, სურათებზე A2.1, A2.2, A2.3 და A2.4.



© DANIEL BELTRAN ALCRUDO

**ცივი ჯაჭვი** არის სისტემა, რომელიც გამოიყენება ვაქცინების შესანახად უსაფრთხო ტემპერატურაზე, წარმოებიდან მიწოდებამდე, ჩვეულებრივ +2°C-დან +8°C-მდე. ამოცანაა, ვაქცინები შევინახოთ საშუალოდ +5°C-ზე. ცივი ჯაჭვის დარღვევა ხდება ნებისმიერ დროს, როდესაც შენახვის ტემპერატურა სცილდება რეკომენდირებულ დიაპაზონს. **ტემპერატურის 2 °C-ზე დაბლა დაცემის** შესახებ უნდა ეცნობოს შენახვის ცენტრის პასუხისმგებელ პირს. ანალოგიურად, ნებისმიერი გადახრა +8 °C-ზე ზემოთ უნდა აღინიშნოს და აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს. თუ ტემპერატურა აღემატება **12°C-ს 15 წუთზე** მეტი ხნის განმავლობაში უნდა არსებობდეს მონიტორინგის სისტემა, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს ასეთი გადახრები.

ტექნიკურმა პრობლემებმა შეიძლება გამოიწვიოს ცივი ჯაჭვის დარღვევა. თუმცა, ხარისხის კონტროლის კარგად შემუშავებული პროცედურების დანერგვით, შესაძლებელია პრობლემების დაუყოვნებლივი იდენტიფიცირება და გამოსწორება ვაქცინის დაზიანებამდე.

ვაქცინის შენახვა:

- ვაქცინების შესანახად უნდა გამოიყოს შესაბამისი მაცივრები მონაცემთა რეგისტრაციისა და ტემპერატურის კონტროლის სისტემით.
- მაცივრის ტემპერატურა რეგულარულად უნდა შემოწმდეს (დღეში ორჯერ მაინც).
- ტემპერატურა უნდა ფიქსირდებოდეს სპეციალურ ჟურნალში.
- მაცივრის გაუმართაობის შემთხვევაში უნდა არსებობდებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (მაგ. ელექტროენერგიის სარეზერვო სისტემები მაცივრებისთვის, მაცივრები საგანგებო ტრანსპორტისთვის, ალტერნატიული მაცივრები ოფისში).

# 3. მეორადი და მესამეული ჯაჭვებიდან გასული ვაქცინის მართვა

აუცილებელია გარკვეული წინასწარი ქმედებების განხორციელება, სანამ ვაქცინატორი აიღებს პასუხისმგებლობას ვაქცინაზე. მნიშვნელოვანია ვაქცინაციის ყოველი ეტაპის დაგეგმვა:

- დაადგინეთ იმ ცხოველების რაოდენობა, რომლებიც საჭიროებენ ვაქცინაციას.
- იმ შემთხვევაში, თუ ასაცრელი ცხოველების თავდაპირველი სავარაუდო რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს, გაითვალისწინეთ პერიფერიული განაწილების ცენტრიდან დამატებითი დოზების მოთხოვნის ხარჯ-სარგებელი. მაგალითად, თუ მეცხოველეობის დაწესებულება ახლოს არის სადისტრიბუციო ცენტრთან, ცენტრში კიდევ ერთი მისვლა შეიძლება უფრო ეკონომიური იყოს, ვიდრე პირველადი დამატებითი დოზების მოთხოვნა ცივი ჯაჭვის პოტენციური დარღვევის გათვალისწინებით. თუ მეცხოველეობის ფერმა მოშორებით მდებარეობს, შეიძლება პირიქით მოხდეს.
- დაუკავშირდით ფერმერს და შეათანხმეთ ვაქცინაციის თარიღი და დრო. დარწმუნდით, რომ:
  - მეპატრონე ან ცხოველებზე პასუხისმგებელი პირი დაესწრება პროცესს; და
  - ყველა ასაცრელი ცხოველი იმყოფება ვაქცინაციისთვის დანიშნულ ადგილას.
- დაგეგმეთ ვაქცინაცია ისე, რომ ვაქცინის ყველა გახსნილი ფლაკონი გამოყენებული იქნას იმავე დღეს.

მეორადი და მესამეული ჯაჭვები, როგორც აღინიშნა, არის ვაქცინების შენახვის პერიფერიული ცენტრები, რომლებიც ვაქცინებს ვაქცინატორებს აწვდიან. ვაქცინაციის კამპანიის ორგანიზებიდან გამომდინარე, ვაქცინატორებმა შეიძლება მიიღონ სხვა აღჭურვილობაც, რაც აუცილებელია საველე ოპერაციების განსახორციელებლად.

ვაქცინატორებზე ვაქცინის გაცემის ყოველ ჯერზე საჭიროა სარეგისტრაციო წიგნში "გასავალი" გრაფის შევსება (დანართი I, ცხრილი A1.1) (ცხადია, გრაფაში შეიძლება ჩამოთვალოთ მხოლოდ ის ვაქცინა, რომელიც უკვე რეგისტრირებულია გრაფაში "შემომავალი"). გრაფა დაყოფილია ორ ქვესექციად: (2.ა) გაგზავნის თარიღის, ვაქცინის სერიის ნომრის/კოდის, ფლაკონების/ამპულების რაოდენობის, დოზების რაოდენობის და ვაქცინატორის საკონტაქტო ინფორმაციის ჩასაწერად; და (2.ბ) ვაქცინატორების მიერ დაბრუნებული ცარიელი (ან ნაწილობრივ ცარიელი) ფლაკონების რაოდენობის რეგისტრაციის, დაბრუნებული დოზების სავარაუდო რაოდენობის და დაბრუნების თარიღის ჩასაწერად

(იმ დაშვებით, რომ ცარიელი ფლაკონების ან გამოუყენებელი ვაქცინის განკარგვა განხორციელდება განაწილების იმ პერიფერიული ცენტრის მიერ, საიდანაც ვაქცინატორმა მიიღო ვაქცინა).

შენიშვნა: სარეგისტრაციო წიგნის „გასავალი“ გრაფის შევსებისას უნდა განახლდეს ხელმისაწვდომი ფლაკონების/ამპულების რაოდენობა (კონკრეტული პარტიისთვის) ხელმისაწვდომი რაოდენობიდან (იგივე პარტიის) გამოყენებული რაოდენობის გამოკლებით. ელექტრონული ცხრილის გამოყენების შემთხვევაში, ეს ოპერაცია შეიძლება ავტომატიზირებული იყოს.

ვაქცინის ფლაკონებთან/ამპულებთან ერთად ვაქცინატორისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები:

- ვაქცინატორის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი (დანართი III, ცხრილები A3.1, A3.2 და A3.3), რომლის ერთი ეგზემპლარი რჩება სადისტრიბუციო ცენტრში და რომელშიც მითითებულია არსებითად იგივე მონაცემები, როგორც სარეგისტრაციო წიგნის გრაფაში "გასავალი" (დანართი I) - ეს ფორმა იდენტურია სარეგისტრაციო წიგნის 2.ა და 2.ბ ქვეპუნქტებისა და უნდა შეივსოს ვაქცინატორის მიერ ცარიელი ფლაკონების ან გამოუყენებელი დოზების დაბრუნებისას;
- საკონტროლო სია თერმოკონტეინერის სათანადო შეფუთვისა და მონიტორინგისთვის (დანართი IV, ცხრილი A4.1);
- ტემპერატურის მონიტორინგის ფორმა ვაქცინის ტრანსპორტირებისას (დანართი V, ცხრილი A5.1), რომელიც ვაქცინატორმა უნდა შეავსოს და დააბრუნოს ცენტრში, საიდანაც ვაქცინა მიიღო;
- ვაქცინატორის მიერ მიღებული საველე ვაქცინაციისთვის საჭირო აღჭურვილობა (დანართი VI, ცხრილი A6.1); და
- შევსებული ვაქცინაციის ბარათები (დანართი VII, ცხრილი A7.1) ვაქცინატორმა უნდა ჩააბაროს იმ ცენტრში, საიდანაც მიიღო ვაქცინა.

ვაქცინატორის მიერ ვაქცინის მიღების შემდეგ, არსებობს ორი შესაძლებლობა (სურათი 1):

1. ვაქცინატორს აქვს შესაძლებლობა, შეინახოს ვაქცინა (სურათ 1-ზე მითითებულია, როგორც „ადგილობრივი ობიექტები“) და, შესაბამისად, მას შეიძლება გადაეცეს ვაქცინის ოდენობა, რომელიც აღემატება დღიურად გამოსაყენებელ რაოდენობას. ვაქცინის სწორად შენახვის შესაძლებლობების არსებობა უნდა მიეწოდოს ადგილობრივ სადისტრიბუციო ცენტრებს, რომლებსაც შეუძლიათ რეგულარულად შეამოწმონ მაცივრები და აღრიცხონ შემოწმების შედეგები.
2. ვაქცინატორი აგრძელებს აცრებს ადგილზე.

# 4. ვაქცინების ტრანსპორტირება

ვაქცინების მაცივრიდან ამოღების შემდეგ, ისინი დაუყოვნებლივ გადატანილ უნდა იქნან თერმოკონტეინერებში და მათი შენახვა უნდა მოხდეს სუფთა, კარგად გამართულ მაცივრებში (ადგილობრივი ობიექტები, რომლებიც მითითებულია წინა პარაგრაფში, როგორც ვარიანტი 1) ან მათი მიწოდება უნდა მოხდეს პირდაპირ ადგილზე მყოფი ცხოველების ასაცრელად (ვარიანტი 2).

ნებისმიერი ვარიანტის არჩევისას, ვაქცინის მაცივრიდან ამოღების მომენტიდან, აუცილებელია პროცედურების მკაცრი დაცვა ცივი ჯაჭვის შესანარჩუნებლად.

ვაქცინის ტრანსპორტირება შესაბამისი გამაგრილებლით:

- კარგად შეფუთეთ თერმოკონტეინერი ინსტრუქციისა და საკონტროლო სიის მიხედვით (დანართი IV, ცხრილი A4.1).
- აკონტროლეთ ტემპერატურა ტრანსპორტირებისას (დანართი V, ცხრილი A5.1), რადგან ვაქცინა შეიძლება გაიყინოს, რაც ჩვეულებრივ ხდება გამაგრილებელში მოთავსებიდან 2 საათში. უფრო ხშირად აკონტროლეთ ტემპერატურა პირველი საათის განმავლობაში (მაგ., თუ შესაძლებელია, ყოველ 15 წუთში) და შემდეგ საათობრივად.



© ERAN RAIZMAN

- თუ ვაქცინა გადაგაქვთ ადგილობრივ დაწესებულებაში, ვაქცინატორმა უნდა დაიცვას ზოგადი ინსტრუქცია ფლაკონების/ამპულების მაცივარში განთავსების შესახებ, რომელიც მოცემულია II დანართში.
- ვაქცინის დაუყოვნებელი გამოყენების შემთხვევაში, რეკომენდებულია: ვაქცინის მიწოდება რაც შეიძლება სწრაფად; თერმოკონტეინერის ტემპერატურის შემოწმება ცხოველებზე ვაქცინის უშუალო გამოყენებამდე (დანართი V); თერმოკონტეინერის მორიდება მზის პირდაპირ სხივებს და შენახვა ვაქცინაციის ჩატარების ადგილთან ახლოს.

გამაგრილებლები ინარჩუნებენ დაბალ ტემპერატურას შეზღუდული დროით, რაც დამოკიდებულია გამაგრილებლის ტიპზე. **როგორც წესი, გამაგრილებელი არ არის გათვლილი რვა საათზე მეტი დროით ან ძალიან ცხელ პირობებში გამოყენებისთვის. ასეთ შემთხვევებში განიხილეთ სპეციალიზებული გამაგრილებლის გამოყენება. პოლისტირენის გამაგრილებელი განკუთვნილია ვაქცინების შესანახად მხოლოდ 4 საათის განმავლობაში.**

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ვებ გვერდზე.[2]

[2] https://apps.who.int/immunization_standards/vaccine_quality/pqs_catalogue/categorypage.aspx?id_cat=18

# 5. ვაქცინის მიწოდება ვაქცინაციის ჩატარების ადგილზე

ვაქცინატორებმა უნდა დაიცვან მთელი რიგი პროცედურები მეცხოველეობის ობიექტზე შესვლამდე,[3] მეცხოველეობის ობიექტზე შესვლისას და მეცხოველეობის ობიექტზე ყოფნისას. პერიფერიული სადისტრიბუციო ცენტრის კოორდინატორმა ვაქცინატორებს ნათლად უნდა მიაწოდოს შემდეგი რეკომენდაციები.

მეცხოველეობის ობიექტზე შესვლა უნდა მოხდეს, სულ მცირე, ბიოუსაფრთხოების ძირითადი ზომების დაცვით, რათა თავიდან აიცილოთ ჯვარედინი დაბინძურება მეცხოველეობის ობიექტზე პირუტყვის განთავსების სივრცეებს შორის (მაგ. ფეხსაცმლის გაწმენდა ან ბახილების გამოყენება, ტანსაცმლის გამოცვლა და სუფთა/გაწმენდილი აღჭურვილობის გამოყენება).

დაავადებისა და ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება საჭირო გახდეს ბიოუსაფრთხოების სხვადასხვა ზომები ან დონე.

ბიოუსაფრთხოების მინიმალური ზომების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაუდებელი ვაქცინაციის ჩატარებისას, რადგან ალბათობა იმისა, რომ დაავადება უკვე გავრცელებულია შენობაში მყოფ ცხოველებს შორის, არ უნდა იყოს უგულველყოფილი.

დარწმუნდით, რომ ვაქცინატორები იცავენ ამ ზოგად პრინციპებს:

1. **განცალკევება.** დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, გააჩერეთ მანქანა მეცხოველეობის ობიექტის გარეთ, ცხოველებისგან განცალკევებულ სუფთა ადგილას და გამოიცვალეთ ფეხსაცმელი (ან გამოიყენეთ ერთჯერადი ბახილები) და ტანსაცმელი. მეცხოველეობის ობიექტზე შესვლისას და გამოსვლისას განსაზღვრეთ სუფთა და დაბინძურებული ადგილები ტანსაცმლის გამოსაცვლელად. იქონიეთ პლასტიკური ჩანთა ყველა დაბინძურებული მასალის შესაფუთად, რომლის დეკონტამინაცია ადგილზე შეუძლებელია. ანალოგიურად, თუ ვაქცინაცია ტარდება სოფლის დონეზე, ჩვეულებრივ, ცხოველებს თავს უყრიან საერთო ტერიტორიაზე; თუ არა, სახლიდან სახლში გადაადგილებისას, აუცილებლად გამოიცვალეთ ერთჯერადი ბახილები, ხელთათმანები და ხალათები.
2. **გაწმენდა.** დაბინძურების მოსაშორებლად, მოიცილეთ ყველა ორგანული ნივთიერება ხელების დაბანით და ისეთი ნივთების გაწმენდით, როგორიცაა ფეხსაცმელი ან მანქანის საბურავები და ვაქცინაციისთვის გამოყენებული ხელსაწყოები/აღჭურვილობა. მეცხოველეობის ობიექტებზე ნებისმიერი შემოტანილი მასალა უნდა

[3] ვინაიდან ცხოველთა სადგომად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ადგილი, სადაც შეგროვდება პირუტყვი, ის ასევე უნდა განიხილებოდეს ვაქცინაციის ჩასატარებელ შესაძლო ადგილად - ფერმები, მცირე საოჯახო მეურნეობები, სახლთან არსებული საფრინველეები, ცხოველთა საკვები მოედნები, სოფლები და ა.შ.

იყოს სუფთა (ანუ თავისუფალი ორგანული ნივთიერებებისგან). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს. გახსოვდეთ, რომ ეფექტურ გაწმენდას შეუძლია დამაბინძურებლების 90 პროცენტამდე მოშორება.

3. **დეზინფექცია.** გაანადგურეთ ყველა დარჩენილი პათოგენი. დაავადების გავრცელების შემთხვევაში, მოიძიეთ შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებები, რომლებიც რეკომენდებულია კონკრეტული დაავადებისთვის. დეზინფექცია გაუკეთეთ მეცხოველეობის ობიექტებზე შემოტანილ ნებისმიერ მასალას. ფეხსაცმელი და ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც გამოყენებული იქნება ცხოველებზე, უნდა იყოს დეზინფიცირებული როგორც გამოყენებამდე, ასევე მის შემდეგ. **დეზინფექცია სათანადო გაწმენდის გარეშე არ იქნება ეფექტური**.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, დაგეგმეთ საველე ვიზიტები რეგიონში სავარაუდოდ გავრცელებული დაავადებებისა და არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციისთვის სპეციფიკური ბიოუსაფრთხოების ზომების შესაბამისად. დაავადების გავრცელების შემთხვევაში, განიხილეთ ერთჯერადი საშუალებების გამოყენება (ბახილები, ხალათები, ხელთათმანები და პირბადე, ასევე ნემსები და შპრიცები). გარდა ამისა, მოაწესრიგეთ მეცხოველეობის ობიექტებში ვიზიტების თანმიმდევრობა, რათა მინიმუმამდე დაიყვანოთ დაავადების ერთი შენობიდან მეორეში გავრცელების რისკი, ვიზიტი დაიწყეთ იმ ობიექტებით, სადაც დაავადების ნიშნები არ არსებობს და შემდეგ ეწვიეთ სხვებს.

მეცხოველეობის ობიექტზე ყოფნისას იმოძრავეთ ბიოუსაფრთხოების პროტოკოლის მაქსიმალური დაცვით, რადგან ყოველთვის არსებობს სუფთა ტერიტორიიდან ინფიცირებულში გადაადგილების რისკი.



© DANIEL BELTRAN ALCRUDO

## ინფორმაცია ფერმერებისთვის ვაქცინაციის შესახებ

მიაწოდეთ ფერმერს ინფორმაცია ვაქცინაციის მნიშვნელობაზე, მისი ჩატარების მიზეზზე, გამოყენებული ვაქცინის ტიპზე, აცრილი ცხოველების სახეობასა და რაოდენობაზე, ვაქცინით გამოწვეულ შესაძლო გვერდით რეაქციებზე და ყველა შესაძლო გართულების პრევენციასა და მართვაზე.

მიაწოდეთ ფერმერს საინფორმაციო ბროშურა და ვაქცინაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო მონაცემები, შემდგომი დაკვირვების საჭიროების შემთხვევაში დასაკავშირებლად.

ბროშურა უნდა იყოს დაწერილი მარტივი ენით, რათა პირუტყვის მეპატრონემ ზუსტად გაიგოს შინაარსი.

## 5.1 ვაქცინაციის პროცედურები მეცხოველეობის ობიექტებზე

ვაქცინაციის პროცედურების დაწყებამდე მნიშვნელოვანია ცხოველების ანამნეზის შეგროვება (ანუ გადატანილი დაავადებები, უკვე ჩატარებული ვაქცინაციები, გარემო პირობები). უნდა ჩატარდეს ცხოველების კლინიკური მდგომარეობის სწრაფი შემოწმება საერთო ფიზიკური მდგომარეობის, სხეულის მდგომარეობისა და დაავადების რაიმე შესაძლო ნიშნის შესაფასებლად.

**ვაქცინირებული უნდა იყოს მხოლოდ ჯანმრთელი ცხოველი, რომელსაც დაავადების ნიშნები აღენიშნება.**

## 5.2 ჰიგიენის წესების დაცვა და პირადი დაცვის საშუალებების გამოყენება

ხშირად დაიბანეთ ხელები და ცხოველებთან ყოფნისას ან/და მუშაობისას ატარეთ დამცავი ტანსაცმელი, როგორიცაა ხელთათმანები, წინსაფარი (ან კომბინიზონი) და ჩექმები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცხოველეობის ობიექტებს შორის ჯვარედინი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენეთ სუფთა, დეზინფიცირებული პირადი დამცავი მოწყობილობები (PPE), ხოლო დაავადების გავრცელების შემთხვევაში, განიხილეთ ერთჯერადი პირადი დამცავი მოწყობილობების გამოყენების შესაძლებლობა.

## 5.3 ვაქცინაციისთვის საჭირო აღჭურვილობა

მუშაობისას დარწმუნდით, რომ ხელთ გაქვთ საჭირო აღჭურვილობა და ყურადღება მიაქციეთ შემდეგს:

- განათავსეთ თერმოკონტეინერი ვაქცინაციის ჩატარების ადგილთან ახლოს და მოარიდეთ ის მზის პირდაპირ სხივებს.
- გააზავეთ ვაქცინა (საჭიროების შემთხვევაში) უშუალოდ აცრის წინ.
- ნუ გააზავებთ ვაქცინას, სანამ მზად არ იქნებით ინექციის ჩასატარებლად.
- გამოიყენეთ ერთჯერადი შპრიცი ან მრავალჯერადი ავტომატური ვაქცინაციის პისტოლეტი. თუ იყენებთ მრავალჯერად ავტომატურ ვაქცინაციის პისტოლეტს, დარწმუნდით, რომ ის სუფთაა და მუშაობს გამართულად, ანუ საინექციო რეზინი და ზამბარა კარგ მდგომარეობაშია და შპრიც-ავტომატი არ არის დაჟანგული.

- ოქროს წესის მიხედვით, ყოველი ინექციისთვის უნდა გამოიყენოთ ახალი სტერილური ნემსი. ამის მიღწევა შეიძლება რთული იყოს საველე პირობებში. ალტერნატივად, ვაქცინატორმა უნდა შეარჩიოს ცხოველთა ერთგვაროვანი ჯგუფები და შეცვალოს ნემსი თითოეული ჯგუფისთვის (როგორც წესი, თუ ჯგუფები შედგება ათზე მეტი ცხოველისგან, მაშინ უნდა გამოვლინდეს ათი ცხოველისგან შემდგარი ქვეჯგუფი და შესაბამისად შეიცვალოს ნემსი). მაგალითად, კომერციული მერძეული მიმართულების ფერმა შედგება ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფისგან: ხბოები, უშობელები, მაკე ფურები, მეწველი ძროხები და მშრალი ძროხები, რომლებიც, როგორც წესი, განცალკევებულნი არიან და იმართებიან ცალკე. სოფლის დონეზე, სადაც ცალკეული შინამეურნეობები ინახავენ ცხოველთა მცირე რაოდენობას, აუცილებელია ნემსის გამოცვლა თითოეულ კომლში. თუ ერთსა და იმავე შინამეურნეობაში ასაცრელია სხვადასხვა სახეობის ცხოველი, მოერიდეთ ერთი და იგივე ნემსის გამოყენებას ცხოველთა სხვადასხვა სახეობაში.
- შეარჩიეთ შესაბამისი ზომის ნემსები (ცხრილი 1), იქნება ეს ერთჯერადი გამოყენების შპრიცების თუ მრავალჯერადი ვაქცინაციის პისტოლეტის გამოყენებისას. ნემსის შეუსაბამო სიგრძემ და სისქემ შეიძლება გამოიწვიოს ნემსის გატეხვა ან ტკივილი მიაყენოს ცხოველს და საფრთხე შეუქმნას ვაქცინატორს, იმ შემთხვევაში, თუ ცხოველი კარგად არ არის დაფიქსირებული.

ცხრილი 1

**კანქვეშა ინექციები: ინექციის ყველაზე გავრცელებული ადგილები და ნემსის ზომა პირუტყვის ძირითადი სახეობისთვის**

| სახეობა | ადგილი | ნემსის ზომა |
|---|---|---|
| **მსხვილფეხა საქონელი** | **SC(კანქვეშა):** მსხვილფეხა პირუტყვი: ლატერალურად კისერზე, გულმკერდზე, იღლიის არეში, გულმკერდის წვერზე | **ხბო:** 18, 20, 22 G 25-30 მმ (1-1¼ ინჩი)<br>**ზრდასრული:** 16 ან 18 G 30 მმ (½-¾ ინჩი) |
| **ცხვარი და თხა** | SC: ბეწვიანი ადგილები, როგორიცაა წინა ფეხების უკანა ნაწილი ან უკანა ფეხების წინა ნაწილი<br>***შენიშვნა:*** კისრის, მხრის ან გულმკერდის კანი უფრო მიდრეკილია აბსცესების წარმოქმნისკენ. | **ბატკანი:** 20 G 25 მმ (1 ინჩი)<br>**ზრდასრული:** 18 G 25 მმ (1 ინჩი) |
| **ღორი** | SC: ყურების უკან, გვერდზე ან იდაყვის უკან | **ძუძუმაწოვარი გოჭი:** 18, 20 G 12–16 მმ (½–⅝ ინჩი)<br>**გოჭი:** 18, 20 G 20 მმ (¾ ინჩი)<br>**ზრდასრული:** 14, 16 G 20–25–40 მმ (¾–1–1½ ინჩი) |
| **ფრინველი** | IM **(ინტრამუსკულარული):** გულმკერდის კუნთები<br>SC: იშვიათად გამოიყენება | 22-19 G 10–13 მმ (⅜–⅝ ინჩი) |
| **კურდღელი** | SC: კისრის უკანა მხარე ან ზურგი | 25 G 16 მმ (⅝ ინჩი) |
| **ცხენი** | SC: კისრის მხარე ან ნებისმიერ სხვა ადგილი, სადაც კანი საკმარისად მოშვებულია | 20–21 G 25–40 მმ (1–1½ ინჩი) |

## 5.4 ვაქცინის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკა

ყოველთვის გაეცანით და გამოიყენეთ ვაქცინის მწარმოებლის მითითებები.

### 5.4.1 ვაქცინის მომზადება

ფრთხილად შეანჯღრიეთ ფლაკონი, წინასწარ შევსებული შპრიცი ან განზავებული ვაქცინა, რათა უზრუნველყოთ სუსპენზიის ერთგვაროვნება. შეამოწმეთ ვაქცინა მასში ნაწილაკების არსებობაზე ან ფერის ცვლილებაზე. ამ ნიშნებიდან ნებისმიერის აღმოჩენის შემთხვევაში, იხილეთ ინფორმაცია ვაქცინის შესახებ.

განაზავეთ ვაქცინა და გამხსნელი (საჭიროების შემთხვევაში) მხოლოდ უშუალოდ ინექციის წინ.

ყურადღება მიაქციეთ ვაქცინის გამოყენების დაშვებულ დროს მისი განზავების შემდეგ.

ცხრილი 2
**ცხოველთა ქცევის ძირითადი გასათვალისწინებელი ფაქტები**

| ეთოლოგიური მახასიათებლები | შენიშვნები |
|---|---|
| ჯოგური ინსტინქტი. | ფერმის ცხოველები ნერვიულნი ხდებიან, როდესაც იზოლირებულნი არიან თავიანთი ნახირისაგან. ცხოველის დასამშვიდებლად დააბრუნეთ ის ნახირში დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. ცხოველები ამჩნევენ როგორც სხვა პირუტყვის, ისევე მათი მეპატრონის ქცევას. თუ მათ ნერვიულობას შეატყობს, თვითონაც აღგზნებული ხდება. |
| უცნობი გარემოს არიდება | ცხოველის ჩვეული გარემოდან მოცილება იწვევს მის აღგზნებას. |
| დედობრივი ინსტინქტი | ნებისმიერი დედა იცავს თავის შთამომავალს და თავს კომფორტულად ვერ გრძნობს მასთან განშორების შემთხვევაში. ეცადეთ შთამომავლობა დედასთან ახლოს გააჩეროთ. |
| უსაფრთხოების ზონა–მანძილი, რომლის ფარგლებშიც ადამიანს შეუძლია მიუახლოვდეს ცხოველს | ყველა ცხოველს აქვს საფრთხის აღქმის „მინიმალური სივრცე“. ეს სივრცე დამოკიდებულია ცხოველის ქცევაზე. მშვიდი ცხოველისთვის მანძილი, რომელზეც ადამიანს შეუძლია მიუახლოვდეს ცხოველს, უფრო მოკლეა ვიდრე აღგზნებული ცხოველის შემთხვევაში (სურათი 2). |
| ობიექტების შიში ბრმა ზონაში | მცოხნელი ცხოველები ვერ ხედავენ სხეულის წინ და კუდის უკან არსებულ სივრცეს, ამიტომ მათ ყოველთვის გვერდიდან უნდა მიუახლოვდეთ. თუ მიუახლოვდებით წინა/გვერდითა მხრიდან, თვალებს შორის ხაზამდე, ცხოველი მიდრეკილია უკუსვლისკენ, განსაკუთრებით, თუ მას აქვს სიტუაციიდან გამოსასვლელად გადაადგილების შესაძლებლობა; თუ მიუახლოვდებით გვერდიდან, მაგრამ უკანა მხრიდან, ცხოველი მიდრეკილია წინსვლისკენ. ეს უნდა გაითვალისწინოთ, თუ ცხოველის გადაადგილება გჭირდებათ (სურათი 2). |
| მგრძნობელობა კონტრასტის მიმართ | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ღორი ვერ არჩევენ ფერებს, მაგრამ უკიდურესად მგრძნობიარენი არიან კონტრასტის მიმართ. ისინი ჩერდებიან ჩრდილების და განათების ნებისმიერ უეცარ ცვლილებაზე. |
| მოძრავი ობიექტების შიში | ცხოველი შეიძლება შეაშინოს ქარში მოფრიალე ტანსაცმელმა. თავიდან უნდა იქნას აცილებული ნებისმიერი ზედმეტი მოძრაობა. |
| ძლიერი ხმაურის შიში | მსხვილფეხა პირუტყვს და ცხენებს კარგი სმენა აქვთ, ამიტომ მოერიდეთ ნებისმიერ მკვეთრ ხმას ან ყვირილს. |
| წიხლების დარტყმის ჩვევა | მსხვილფეხა რქოსანი წიხლებს ჯერ წინ და შემდეგ უკან ურტყამს. ძროხები თუ გვერდზე ტკივილი იგრძნეს გვერდულად ურტყამენ წიხლებს. ცხენები, როგორც წესი, უკანა ფეხებით ურტყამენ წიხლს. |

*წყარო:* NCERT (National Council of Educational Research and Training). 2018. Unit 1: *Restraining farm animals in animal health worker.* New Delhi, India, NCERT. https://ncert.nic.in/textbook/pdf/ievw101.pdf

### 5.4.2 ცხოველების განლაგება და შეკავება მათი კეთილდღეობისა და ოპერატორის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

ცხოველთა სხვადასხვა სახეობა განსხვავებულად რეაგირებს ვაქცინაციის პროცედურებზე. ცხოველებთან მოპყრობის ნებისმიერი მეთოდის გამოყენებამდე გაითვალისწინეთ ცხოველთა ქცევის თავისებურება (ცხრილი 2 და სურათი 2.). გამოიყენეთ ეს ცოდნა ცხოველების დაფიქსირებისას: იზრუნეთ ცხოველის კეთილდღეობაზე და გაარკვიეთ, დაეხმარება თუ არა ის, რასაც აკეთებთ, ცხოველს სიმშვიდის შენარჩუნებაში, მისი მოულოდნელი რეაქციის ან ვაქცინატორისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებაში.

### 5.4.3 კანის გაწმენდა

ინექციისთვის რეკომენდირებული ადგილებიდან, შეარჩიეთ ცხოველის სუფთა ნაწილი. (ცხრილი 1).

### 5.4.4 ინექციის გაკეთების ტექნიკა

ყოველთვის დაიცავით მწარმოებლის რეკომენდაციები ვაქცინის შეყვანის მეთოდთან დაკავშირებით, რომელიც ვეტერინარული ვაქცინებისთვის, როგორც წესი, კანქვეშაა.

კანქვეშა ინექცია შეიძლება გაკეთდეს ყველგან, სადაც თითებით შეძლებთ კანის მოჭიმვას. ნახატები, რომლებიც გვიჩვენებს ინექციების ძირითად რეკომენდებულ ადგილებს ცხოველის სახეობის მიხედვით, მოცემულია VIII დანართში, ხოლო ცხრილი 1 აჯამებს ინექციის ადგილებისა და ნემსის ზომის ძირითად ჩამონათვალს. რეკომენდირებულია, თავიდან იქნას აცილებული ინექციის გაკეთება ადგილებში, სადაც შესაძლოა ცხოველიდან მისაღები პროდუქციის დაზიანება, როგორიცაა მაგალითად, კანი და ტყავი.

სურათი 2

**მსხვილფეხა საქონლის უსაფრთხოების ზონა და სხეულის გამართხილებელი ნიშნები**




*წყარო:* ფრანჩესკო ბეგინის ილუსტრაცია, ლაციოსა და ტოსკანის ექსპერიმენტული ზოოპროფილაქტიკური ინსტიტუტი.

ვაქცინების კანქვეშა შეყვანის ტექნიკა ნაჩვენებია მე-3 სურათზე.

ერთჯერადი შპრიცის გამოყენების შემდეგ, გადააგდეთ შპრიცი ბასრი საგნებისთვის განკუთვნილ კონტეინერში, ან ნებისმიერ სპეციალური ან იმპროვიზირებულ კონტეინერში, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ გამოყენებული ნემსების შესაფუთად და ადამიანებისა და ცხოველების შემთხვევითი დაზიანებისგან დასაცავად.

### 5.4.5 ვაქცინების შეყვანის სხვა ნაკლებად გავრცელებული მეთოდები

მეფრინველეობაში ჩვეულებრივ გამოიყენება ინტრამუსკულარული ინექცია (IM); ინტრანაზალური ინექცია (IN); ორალური ვაქცინაცია, თვალის წვეთები, სპრეი (ან ნებულიზაცია); კანის სკარიფიკაცია და in-ovo ვაქცინაციის მეთოდი. გთხოვთ, გაეცნოთ მწარმოებლის რეკომენდაციებს.

სურათი 3
**კანქვეშა ვაქცინების შეყვანის ტექნიკის ინფოგრაფიკა**




*წყარო:* შემუშავებულია ავტორების მიერ.

### 5.4.6 ვაქცინირებული ცხოველების მარკირება

ცხოველების თავისუფალ რეჟიმში შენახვის შემთხვევაში, მონიშნეთ ვაქცინირებული ცხოველები, რათა შეძლოთ მათი იდენტიფიცირება და თავიდან აიცილოთ ხელახალი ვაქცინაცია. დარწმუნდით, რომ იყენებთ არატოქსიკურ დროებით საღებავს, რომელიც განკუთვნილია პირუტყვის მარკირებისთვის.

### 5.5 ბასრი საგნების გამოყენება და განადგურება

ერთჯერადი ნემსების გამოყენებისას გაითვალისწინეთ შემდეგი:

- არ ამოიღოთ ბასრი საგანი შეფუთვიდან, სანამ მზად არ იქნებით მის გამოსაყენებლად.
- არ მიმართოთ ბასრი საგანი ვინმესკენ.
- მოარიდეთ თითები ბასრი საგნის წვერს.
- არ ჩამოაცვათ თავსახური ბასრ საგანს და არ გაღუნოთ ის.
- არასოდეს გადასცეთ ბასრი საგანი სხვას ხელიდან ხელში.
- მკაფიოდ აცნობეთ კოლეგებს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ბასრი საგანი უნდა მოთავსდეს ლანგარზე, რათა სხვამ შეძლოს მისი აღება.
- მოათავსეთ ბასრი საგნები ბასრი ნარჩენების შესაბამის კონტეინერში.
- დახურეთ კონტეინერი და შეცვალეთ იგი ორი მესამედით შევსების შემდეგ.



© ORR RAIZMAN VELASQUEZ, UNIVERSITY OF WISCONSIN MEDICAL CENTER

### 5.6 სამუშაო გარემოს რეგულარული დასუფთავება

მეცხოველეობის ობიექტებზე შემოტანილი ნებისმიერი მასალა უნდა იყოს დეზინფიცირებული გამოყენების შემდეგ. ჩატარებული სამუშაოს მერე დაასუფთავეთ მეცხოველეობის ობიექტი და არ დატოვოთ იქ ნაგავი. ყველა ერთჯერადი ნივთი უნდა შეიფუთოს და დასუფთავების დასრულების შემდეგ არ უნდა გადახვიდეთ სუფთა ტერიტორიიდან ბინძურ ტერიტორიაზე.

### 5.7 მასალების სათანადო განადგურება

დაახარისხეთ ნარჩენები ქვეყანაში არსებული რეგულაციების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ბასრი საგნების, მედიკამენტებისა და დაბინძურებული ბიოლოგიური მასალების განადგურებას.

## 5.8 გამოყენებული ვაქცინების აღრიცხვა

მეცხოველეობის ფერმის ტერიტორიდან გასვლამდე, შეავსეთ ვაქცინაციის ბარათი (დანართი VII) და ხელი მოაწერინეთ მეპატრონეს. მიაწოდეთ მას საკონტაქტო ინფორმაცია ვაქცინაციასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემის დადგომის შემთხვევისთვის, როგორიცაა მაგ., გვერდითი რეაქციები, ან იმ შემთხვევისთვის, თუ ფერმერს გაუჩნდა დამატებითი კითხვები, მაშინაც კი, თუ დარწმუნებული ხართ, რომ ეს არ იქნება საჭირო.

## 5.9 გვერდითი რეაქციების მონიტორინგი და მართვა

